კატეგორია II - ლაბირინთი (4WD/2WD)

🟧 კატეგორიის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

რობოტს უნდა გააჩნდეს “start”-ის ღილაკი, რომლის გააქტიურებიდანაც 5 წამში უნდა დაიწყოს მოძრაობა. დროის ათვლა იწყება რობოტის მიერ სტარტის ხაზის გადაკვეთით და მთავრდება ფინიშის ხაზის გადაკვეთით.

რობოტის სპეციფიკაციები:

- რობოტის წონა არ უნდა აღემატებოდეს 1 კილოს
- რობოტი უნდა თავსდებოდეს 180 x 280მმ ზომის ყუთში

🟧 დავალების აღწერა

აღნიშნულ კატეგორიაში რობოტმა უნდა შეძლოს, 30 სანტიმეტრის სიგანის, დერფანის მქონე ლაბირინთში გავლა და გასასვლელისკენ გზის გაკვლევა. აღნიშნულ კატეგორიაში რობოტმა 3 წუთის განმავლობაში უნდა მოახერხოს ლაბირინთის საწყის წერტილიდან ლაბირინთის ბოლო გასასვლელ წერტილამდე მისვლა. გამარჯვებული იქნება ის მონაწილე ვისი რობოტიც დროის ყველაზე მცირე მონაკვეთში შეძლებს ამ ლაბირინთიდან გავლას. (ის რობოტი რომელიც 3 წუთზე დიდ დროს მოანდომებს ლაბირინთის გავლას, ავტომატურად ჩაითვლება წაგებულად)

გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ არენაზე გამოსვლისას და თითოეულ კატეგორიაში მონაწილეობისთვის რობოტთან ერთად გუნდიდან გამოდუს მხოლოდ ერთი წევრი.

რობოტებს დავალების შესასრულებლად ექნებათ 2 შანსი. საბოლოო შედეგად მიიღება უკეთესი შედეგის მაჩვენებელი



სურათი არ წარმოადგენს შეჯიბრებაზე გამოყენებული ლაბირინთის ასლს
შეჯიბრებაზე გამოყენებული იქნება სხვა ტიპის ლაბირინთი

🔲 შეფასება

გუნდები შეფასდებიან ჟიურის წევრების მიერ. გამარჯვებული გამოვლინდება საბოლოო შედეგების მიხედვით, ლაბირინთის გავლის დროზე დაყრდნობით.

🔲 შეზღუდვები

დაუშვებელია შეჯიბრის დროს, რობოტის დისტანციურად მართვა.

შეგიძლიათ ლაბირინთის მაგალითები აგრეთვე იხილოთ მოცემულ ბმულზე ვიდეოს სახით:

უსაფრთხოების წესები!

აკრძალულია:

- შოკერის, ელექტრომაგნიტური გამთიშველის გამოყენება
- სცენის ზედაპირის ნებისმიერი სახით დაზიანება, რაც მოიცავს:

    - მოწყობილების მიერ ცეცხლის ან კვამლის გამოყოფას
    - ნებისმიერი სახის სითხის/ფხვნილის/სპრეის/თოკის/ბადეს გამოყენებას
    - სასროლი დანადგარის გამოყენებას